კრიზისის სახეობები და მათი გამოვლინება სახელმწიფოს განვითარების პროცესში

რეზიუმე

გენადი იაშვილი
სტუ-ს პროფესორი
E-mail: genadi_iashvili@hotmail.com
ზაზა წვერავა
სტუ-ს დოქტორანტი

საქართველოს გეოგრაფიული, პოლიტიკური, საოციალური, ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობიდან გამომდინარე ძალზე მნიშვნელოვანია სამართლებრივ დონეზე არსებობდეს კონკრეტული სახეობების კრიზისების შესაძლო რისკების შეფასების, გაანალიზების, დაგეგმარების და აღმოფხვრის მექანიზმები, რაც თავისთავად ხელს შეუწყობდა სახელმწიფო ინსტიტუტებს, რომ კონკრეტულ კრიზისულ სიტუაციაში ჯეროვნად, რაციონალურად და საზოგადოებისათვის უმტკივნეულოდ განახორციელონ ანტიკრიზისული ღონისძიებები.

მსოფლიო პრაქტიკაში არსებობს კრიზისების წინაამდდეგ ბრძოლის მეთოდოლოგია და მექანიზმები, თუმცა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ასეთი მეთოდოლიგიისა და მექანიზმების სრულად დანერგვა შეუძლებელია საქართველოში, ან კონკრეტულად ერთ აღებულ სახელმწიფოში, იმის გათვალისწინებით, რომ კრიზისი თავისი მასშტაბებით, შედეგებითა და ხასიათით შესაძლოა იყოს უნიკალური. შესაბამისად, აუცილებლია შემუშავებული იქნას ისეთი ანტიკრიზისული მექანიზმები, რომელიც მორგებული და ადაპტირებული იქნება ქართული სახელმწიფოსა და საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ მდგომარეობაზე. ამისათვის კი, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ კრიზისის არსი, მისი სახეობა და როლი სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარების პროცესში.

მოცემულ სტატიაში განხილულია კრიზისის სახეობები და მათი გამოვლინება სახელმწიფოს განვითარების პროცესში.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო, კრიზისი, კრიზისის სახეობები, ანტიკრიზისული მექანიზმები.

კრიზისი ეს არის ერთგვარი გარდაქმნა, პერიოდი გარდამავალი მდგომარეობისა, ერთგვარი გარდატეხა, რომლის დროსაც მიზნის მიღწევის ის საშუალებები, რომლებსაც ჩვენ გამოვიყენებდით ჩვეულებრივ რეჟიმში, ხდება არაადეკვატური და გამოუსადეგარი, რის გამოც წარმოიქმნება გაუთვალისწინებელი სიტუაციები და პრობლემები. კრიზისი წარმოადგენს წინაამღდეგობების გამწვავებას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში, რაც მისი სიცოცხლისუნარიანობის საფრთხის მომასწავებელია. კაცობრიობის ისტორიაში კრიზისი ყოველთვის დაკავშირებული იყო რაიმე კატასტროფასთან ან კატაკლიზმებთან, რომლებიც გამოწვეული იყო ბუნებრივი ან და ადამიანური ძალების ზემოქმედებით, რომელსაც ძირითადად მივყავდით სიცოცხლის დონის მკვეთრ გაუარესებასთან. კრიზისის წარმოქმნას ყოველთვის აქვს არსებითი და საფუძვლიანი მიზეზი. შეუძლებელია კრიზისს მისცე ყველასათვის დამაკმაყოფილებელი განსაზღვრება, იმიტომ, რომ კრიზისი ეს არის მდგომარეობა. კრიზისი ასევე შეიძლება აღიქმებოდეს, როგორც ეტაპი, სოციალურ-ეკონომიკური სისტემის განვითარებაში, იმისათვის, რომ აღმოფხვრას მასში დაძაბულობა და არასტაბილურობა.

არსებული კლასიფიკაციის მიხედვით არსებობს საერთო და ლოკალური კრიზისები. საერთო კრიზისები მოიცავენ მთელ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას, ლოკალური კი, ერთ ან რამდენიმე ქვესისტემას. რა თქმა უნდა, ასეთი დაყოფა ატარებს პირობით ხასიათს. კრიზისული სიტუაციის კონკრეტულ ანალიზში საჭიროა გავითვალისწინოთ სოციალურ-ეკონომიკური სისტემის სტრუქტურისა და ფუნქციონირების გარემო.

კრიზისი პრობლემურობის თვალსაზრისით შეგვიძლია დავყოთ მაკრო და მიკრო კრიზისებად. მაკროკრიზისი თავისი გავლენითა და სიმ-

ძლავრით მოიცავს მთლიანად ქვეყნისა და საზოგადოების განვითარების მთელ სისტემას. მიკრო კრიზისი ვრცელდება და მოიცავს მხოლოდ ერთ ან მცირე პრობლემების ჯგუფზე, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ სისტემის ყველა ელემენტი ურთიერთქმედებობენ და ურთიერთკავშირში არიან და შესაბამისად, პრობლემების გადაჭრა ხდება კომპლექსურად - მინიმალური ზომის კრიზისმა დომინოს პრინციპის მიხედვით, ურთიერთწინააღმდეგობებში შეუძლია მოაქციოს მთელი სისტემა ან/და განვითარების მთელი პროცესი.

კრიზისი თავისი უარყოფითი გავლენით, მოიცავს სისტემის ყველა ელემენტს მაშინ, როდესაც არ ხდება კრიზისული სიტუაციების მართვა, როდესაც არ არსებობს მისი ლოკალიზაციისა და სიმძაფრის შემცირებისათვის სათანადო ღონისძიებები, ან და პირიქით, როდესაც განძრახ ხორციელდება კრიზისის განვითარების მოტივაცია. სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში, სტრუქტურული ურთიერთობებისა და პრობლემების განვითარების დიფერენცირების კუთხით შეგვიძლია გამოვყოთ: **ეკონომიკური; სოციალური; ორგანიზაციული; ფსიქოლოგიური; ტექნოლოგიური კრიზისის სახეობები.**

ეკონომიკური სახეობის კრიზისები - ეკონომიკური სახეობის კრიზისები გამოხატავენ მწვავე წინაამღდეგობებს ქვეყნის ეკონომიკაში ან და საწარმოს (ორგანიზაციის) ეკონომიკურ მდგომარეობაში. ეს ის მდგომარეობაა, როდესაც კრიზისმა მოიცვა საქონლის წარმოება და მისი გასაღება, ეკონომიკური აგენტების ურთდამოკიდებულება, როდესაც გაზრდილია არგადამხდელთა და გაბანკროტებულთა რაოდენობა, როდესაც დაკარგულია კონკურენტული გარემო და სხვა [1].

სოციალური კრიზისები - სოციალური კრიზისები წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ხდება წინაამღდეგობების გამწვავება სხვადასხვა სოციალური ჯგუფის თუ წარმონაქმნს შორის (მაგალითად: დაქირავებულებსა და დამქირავებლებს, პროფკავშირებსა და მეწარმეებს, სხვადასხვა პროფესიის მუშაკებს, პერსონალისა და მენეჯერებს შორის და სხვ.). ხშირად სოციალური კრიზისები წარმოადგენენ, ეკონომიკური კრიზისების ერთგვარ გაგრძელებასა და დანამატს, თუმცა ისინი შესაძლოა წარმოიქმნან თავისთავადაც, მაგალითად მმართველობის სტილის მიზეზის, შრომის პირობების უკმაყოფილების, ეკოლოგიურ პრობლემებთან ურთიერთობისა და პატრიოტული გრძონობების გამო. სოციალური კრიზისების ჯგუფში განსაკუთრებული ადგილი უკავია პოლიტიკური სახის კრიზისს. ისეთი, როგორიცაა კრიზისი საზოგადოების პოლიტიკურ წყობაში, კრიზისი ხელისუფლებაში, კრიზისი სხვადასხვა სოციალური ჯგუფის (კლასის) ინტერესების რეალიზაციისა, კრიზისი საზოგადოებისა და ქვეყნის მართვისა. პოლიტიკური კრიზისები, როგორც წესი, ეხება განვითერების ყველა მხარეს და გარდაიქმნება ეკონომიკურ სახეობების კრიზისებად. პოლიტიკური სახეობის კრიზისს, ახასიათებს მწვავე წინაამღდეგობები საზოგადოების პოლიტიკურ მოწყობაში, რომელიც გავლენას ახდენს სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ინტერესებზე, მმართველ ელიტებზე, ოპოზიციურ პარტიებზე.

ორგანიზაციული კრიზისები - ორგანიზაციული კრიზისების გამოვლინება ხდება მაშინ, როდესაც ადგილი აქვს საქმიანობის დაყოფას ან/და ინტეგრაციას, როდესაც ხდება ფუნქციების გადანაწილების, ადმინისტრაციული ერთეულების, რაიონების გამოყოფის პროცესები, ასევე მაშინ, როდესაც ხდება სხვადასხვა ქვედანაყოფის საქმიანობის რეგლამენტაცია. ნებისმიერი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ორგანიზაციულ მოწაყობაში, შესაძლებელია გამწვავდეს ორგანიზაციული ურთიერთობები, ისეთი როგორიცაა ურთიერთობებში გაუგებრობების წარმოქმნა, მოხელეთა შორის კონფლიქტები, უპასუხისმგებლობა და საქმიანობის კონტროლის პროცესის გართულება და სხვ. ესეთი გამწვავებები წარმოიქმნება სოციალურ- ეკონომიკური სისტემის არაზომიერ ან სწრაფი ზრდის დროს, მისი განვითარებისათვის და ფუნქციონირებისათვის საჭირო პირობების ცვლილებებისას, მაშინ, როდესაც ორგანიზაციის რეკონსტრუქციისას (რეორგანიზაციისას) დაშვებულია ისეთი შეცდომები, რომლებიც ხელს უწყობებენ ბიუროკრატიული ტენდეციების წარმოშობას. ორგანიზაციული კრიზისი ხშირად გამოვლინდება როგორც „ინსულტი" ორგანიზაციულ საქმიანობაში. მის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს ასევე მისი არაზომიერი ბიუროკრატია.

ფსიქოლოგიური კრიზისი - სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე პირობებში, იშვიათი არ არის ფსიქოლოგიური კრიზისების არსებობა. ეს არის კრიზისები ადამიანის ფსიქოლოგიური მდგომარეობისა. ასეთი კრიზისები გვევლინება ისეთი სახით, როგორიცაა ადამინის ან ადმიანის ჯგუფის სტრესული მდგომარეობა, რომელსაც მიღებული აქვს მასიური ხასიათი, როდესაც ადგილი აქვს გრძნობების მერყეობის წარმოშობას, პანიკას თუ როგორი იქნება მომავალი, საქმიანობის უკმაყოფილებით, სოციალური და სამართლებრივი მდგომარეობის დაუცველობით. ფსიქოლო-

გიური კრიზისი ეს არის კრიზისი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ კლიმატში, კოლექტივსა თუ ცალკეულ ჯგუფში.

ტექნოლოგიური კრიზისი - ტექნოლოგიური კრიზისი წარმოიქმნება, როგორც კრიზისი ახალ ტექნოლოგიურ იდეებში, იმ პირობებში როდესაც მკვეთრად არის გაზრდილი მოთხოვნა ახალ ტექნოლოგიებზე. ეს არის შემთხვევები, როცა ადგილი აქვს ისეთი სახის პრობლემებს, როგორიცაა ნაკეთობასთან ტექნოლოგიურ შეაუთავსებლობა, ან/და ახალი, ინოვაციური ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების მიღებისაგან უარის თქმა. უფრო გავრცობილად, თუ ვიმსჯელებთ ასეთი კრიზისები შეიძლება გამოიყურებოდეს, როგორც კრიზისები, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა განპირობებული მის ტენდეციებს შორის წინაამღდეგობების გამწვავებით, შესაძლებლობებითა და შედეგებით.

ბუნებრივი კრიზისები ძირითადად გამოწვეულია ადაიანის ცხოვრების ზემოქმედებითა და ბუნებრივი მოვლენებით. ასეთი კრიზისების გაჩენის მიზეზები შეიძლება იყოს მიწისძვრები, ქარიშხლები, ხანძრები, წყალდიდობები, კლიმატური ცვლილებები და სხვა. ბუნების ასეთი ხასიათის მოვლენები დიდ გავლენას ახდენენ ეკონომიკაზე, ადამიანის ფსიქოლოგიაზე, სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებზე და შესაბამისად, თუ კი ისინი შეიძენენ, გარკვეულ მასშტაბს, ისინი წარმოშობენ კრიზისს. თანამედროვე პირობებში, დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანისა და ბუნების ურთიერთდამოკიდებულების შედეგად გამოწვეული კრიზისების გაგებასა და აღქმას. ერთი შეხედვით შეიძლება ვთქვათ, რომ ეკოლოგიური კრიზისები თავისი ხასიათით ბუნებრივი კრიზისის მსგავსია, თუმცა თუ კარგად მოვახედნთ მის იდენტიფიცირებას, ეს არის კრიზისი, რომელიც წარმოიშვება და ძირითადად გამოწვეულია არსებული მდგომარეობითა და მასზე ადამიანის საქმიანობის ზემოქმედების შედეგად. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ მოვლენები როგორიცაა, ბუნებრივი პირობების ცვლილებები, რომელიც გამოწვეულია სხვადასხვა სახის რესურსების ამოწურვით, გარემოს დაბინძურებით, საშიში ტექნოლოგიების შექმნით, ბუნებასთან და ეკოლოგიასთან დაკავშირებული კანონების მოთხოვნათა უგულებელყოფითა და სხვა. ასეთი მოვლენების წარმოქნა, ასევე მნიშვნელოვან ნეგატიურ გავლენას ახდენს ეკონომიკაზე, ადამიანის ფსიქოლოგიაზე, სოციალურ და ეკონომიკურ პროცესებზე. [2]

ზემოხსენებული მსჯელობის საფუძველზე, ტიპების მიხედვით ჩვენ ხვდებით ისეთი ხასიათის კრიზისებს, როგორიცაა პროგნოზირებადი და მოულოდნელი. პროგნოზირებადი კრიზისები დგება როგორც ეტაპი განვითარებისა, ასეთი კრიზისების დადგომა პროგნოზირებადია და გამოწვეულია სხვადასხვა სახის ობიექტური მიზეზისა და ფაქტორეის დაგროვებით, მაგალითად ისეთი როგორიცაა წარმოების რესტრუქტურიზაცია, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ზემოქმედების შედეგად გამოწვეული ინტერესთა სტრუქტურის ცვალებადობის გამო.

კრიზისების სახეობათა სისტემა იყოფა, როგორც მოკლევადიან და გაჭინაურებულ კრიზისებად. კრიზისულ სიტუაციებისას, დიდი მნიშვნელობა აქვს დროის ფაქტორს, რაც უფრო გრძელდება კრიზისული სიტუაცია, მით უფრო მტკივნეული და ნეგატიური ხდება მისი ზემოქმედება. ასეთი სახეობის კრიზისების არსებობა, როგორც წესი, დაკავშირებულია იმ უნარჩვევების არქონით, რომელიც საჭირო კრიზისების მართვისას და ანტიკრიზისულ ღონისძიებათა დაგეგმარებისას, იმის არ ცოდნამ, თუ რა არის კრიზისის არსი, მისი მახასიათებლები, მისი წრმოქმნის მიზეზები და შესაძლო შედეგები.

დასკვნა:

ამრიგად, კრიზისები თავისი ქცევის, ხასიათის, ტიპოლოგიის, მიმდინარეობის, სიმწვავისა და შედეგების მიხედვით, არის მრავალფეროვანი და თითოეული შემთხვევა არის ერთგვარად უნიკალური. თუმცა, ყველაზე მთავარი არის ის, რომ ფაქტობრივად ყველა კრიზისის შედეგი აისახება სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარების პროცესზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია გაანალიზებული იქნას თითოეულ სახეობასთან მიმართებაში, ანტიკრიზისული ღონისძიებების მოდელები და მექანიზმები, ასევე საკანონმდებლო რეგულაციები, რომელთაც იცნობს მსოფლიო პრაქტიკა და რომელიც, დაგვეხმარება ჩვენის ქვეყნის გარემოზე ადაპტირებულ საკანონმდებლო რეგულაციების შესახებ, რეკომენდაციების შემუშავებაში.

ლიტერატურა:

1. გიორგი ბაქრაძე - „2007-2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისი: მიზეზები და ინტერპრეტაციები". გამოცემა „ეკონომიკა და საბანკო საქმე". ტომი 2. 2014.
2. Кирсанов А.И. "Антикризисное управление". — М. ,"ИНФРА-М", 2002, с. 432.

TYPES OF CRISIS AND THEIR REVEAL IN STATE DEVELOPMENT PROCESS

GENADI IASHVILI
Professor of GTU
E-mail: genadi_iashvili@hotmail.com
ZAZA TSVERAVA
***Doctoral candidate* of GTU**

Summary

Given the geographical, political, social, economic and demographic situation of Georgia is very important to have the mechanisms for assessing, analyzing, planning and removing possible risks of specific crises that will help the state institutions in a particular crisis actually rational and anti-crisis measures for the public without problems.

In practice, the methodology and mechanisms for fighting crises in world practice, however, are noteworthy, that such methodology and mechanisms can't be fully implemented in Georgia or in a single state, given that the crisis may be unique, consequently and characteristic. Accordingly, it is necessary to develop anti-crisis mechanisms and adapted to the socio-economic and cultural situation of the Georgian state and society. To this end, it is important to know the essence of the crisis, its type and role in the development of the state and society.

In This article is discussed the types of crisis and their reveal in the state development process.

Keywords: State, crisis, crisis types, anti-crisis mechanisms.